ხელშეკრულება N 2017-1613
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონსილიდირებული ტენდერი N CON 170000031)

ქ. თბილისი

„15" „თებერვალი" 2017 წ

ერთის მხრივ, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო (შემდგომში- შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი უფროსის გია თვალავაძის სახით, და მეორეს მხრის შპს „პენსან ჯორჯია" (შემდგომში -მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისის უფროსის გიგა გობიანიძის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის და „ 2017 წელს საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის N2336 განკარგულებისა და „A4 ფომატის საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე „სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 20 მარტის N2 ბრძანების საფუძველზე, საბეჭდი ქაღალდის 2017 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (N CON170000031) (შემდგომში კონსილიდირებული ტენდერი) შედეგად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## მუხლი 1 გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – "ხელშეკრულება") _ რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის;

1.1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.1.4. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.1.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.1.6. სამუშაო დღე ნიშნავს კალენდარულ დღეს შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.

1.1.7. ფორსმაჟორი - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს, კერძოდ: მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც სეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

## მუხლი 2 ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანი 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხის ფარგლებში ა/4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქარალდის (CPV კოდი 30197630) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზრაურების სანაცვლოდ.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართ N1-ში რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## მუხლი 3 სახელშეკრულებო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა (შემდგომში „სახელშეკრულებო ღირებულება") **3345 (სამი ათას სამას ორმოცდახუთი)** ლარი დღგ-ს ჩათვლით.

3.2 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადის და მოსაკრებლის ჩათვლით.

**მუხლი 4 მიღება-ჩაბარება და ანგარიშწირება**

4.1 საქონლის მიღება ჩაბარება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებელის უფლებამისილი წარმომადგენლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარი-ფაქტურით. შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტის და ანგარიშ-ფაქტურის ხელმოწერაზე უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტში მითითებული პირი.

4.2 მიმწიდებელთან ანგარიშწორება ხდება ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის შესაბამისად, უნაღდო ანგარიშწორების ფორმიოთ ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

4.3 ანგარიშწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საბეჭდი ქაღალდის მიწოდებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**მუხლი 5 საქონლის მიწოდების ადგილი**

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან ერთიანად არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ქ. თბილისი წერეთლის გამზ.N144)

**მუხლი 6 მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების პირობის შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 6.3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულობების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯის ანაზღაურება.

6.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

ბ) ჯეროვნათ და კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.

**მუხლი 7 ხელშეკრულების ინპექტირების პირობები**

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ბესიკ ჭიპაშვილი.

7.2 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ინსპექტირების ჩატარება საკუთარი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით.

7.3 ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## მუხლი 8. პირგასამტეხლო

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულების შემთხვევაში, მახარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცდენის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0,2%-ის ოდენობით.

8.2 იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადაჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2 (ორ) პროცენტს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს გადახდა.

## მუხლი 9. ფორსმაჟორი

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

9.2 თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

## მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობის ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივი, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმე;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## მუხლი 11. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოყენებული სამართალი

11.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 12. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალსწინებული.

**მუხლი 13. ხელშეკრულების ენა**

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარი, ერთი ინახება მიმწოდებელთან ერთი შემსყიდველთან.

**მუხლი 14 ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით.

| "შემსყიდველი" | "მიმწოდებელი" |
|---|---|
| სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო“ | შპს „პენსან ჯორჯია" |
| ქ. თბილისი, წერეთლის გამზ №144, | იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ბქხტრიონის ქ. N24/96 , ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი თამარ მეფის გამზ.N18 |
| სახელმწიფო ხაზინა, ანგN200122900 | ს/კ №404870760 |
| საიდენტიფიკაციო კოდი 205035120 | სს „პროკრედიტ ბანკი“- UGEBGE22 , |
| | ანგN GE35VT 6500 0000 5555 5555 |
| | გიგა გობიანიძე<br>დირექტორი |
| გია თვალავაძე<br>სააგენტოს უფროსი | |

დანართი N1

ხელშეკრულების საგნის აღწერა

შესყიდვის ობიექტია პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი

| N | დასახელება და ტექნიკური მაჩვენებლები | განზომილების ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი ballet universal; მწარმოებელი ქვეყანა-რუსეთი; გრამაჟი 80(გრ/მ2); გაუმჭვირვალობა 92% სიკაშკაშე 95% სითეთრე (CIE)Wcbg ულტრაიისფერი სხივების გათვალისწინებით 150% შეკვრაში ფურცლების რაოდენობა - 500; | შეკვრა (500 ფურცლიანი) | 500 შეკვრა | 6.69 | 3345 |
| სულ საერთო ღირებულება (დღგ-ს ჩათვლით) | | | | | 3345 (სამი ათას სამას ორმოცდახუთი) ლარი |

"შემსყიდველი"

სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო"

ქ. თბილისი, წერეთლის გამზ №144,

სახელმწიფო ხაზინა, ანგN200122900

საიდენტიფიკაციო კოდი 205035120

გია თვალავაძე

სააგენტოს უფროსი

"მიმწოდებელი"

შპს „პენსან ჯორჯია"

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. N24/96 , ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი თამარ მეფის გამზ.N18

ს/კ №404870760

სს „პროკრედიტ ბანკი"- UGEBGE22 ,

ანგN GE35VT 6500 0000 5555 5555

გიგა გობიანიძე

დირექტორი

**სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთვის“ გამოყოფილი 2017 წლის ასიგნების ფარგლებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის**
**მიღება ჩაბარების აქტი**

ქ. თბილისი

„____“ „_____“ 2017 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, შემსყიდველი საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს **სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ უფროსი გია თვალავაძე**

და მეორეს მხრივ, მიმწოდებელი:

_____

(ორგანიზაციის სახელი)

_____

(ხელმძღვანელის თანამდებობა: სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ

2017 წ „-----“ „---------“ № ხელშეკრულების პირობის შესაბამისად მოწოდებულია საქონელი.

_____

(ხელშეკრულების თარიღი და ნომერი)

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს:

_____

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მოწოდებული საქონლის ღირებულებამ

შეადგინა:

_____

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით მოწოდებულია :

_____

ანაზღაურებულია:

_____

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

**საქონელი ჩაიბარა:**

1. ხელმძღვანელი

2. პასუხისმგებელი შესრულებაზე

**საქონელი ჩააბარა:**

1. ხელმძღვანელი